ჟუჟუნა ფეიქრიშვილი

ფიქრები
მიხეილ თამარაშვილზე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

ეძღვნება მიხეილ თამარაშვილის
გარდაცვალების 100 წლისთავს.

© ჟ. ფეიქრიშვილი, 2012
გამომცემლობა „უნივერსალი", 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-543-5

„სალამი შენდა, სამშობლო მხარევ,
სალამი შენდა, ჯავჯასიონო;
შენც, ალაზანო, ცრემლთა მდინარევ,
და შენც, ჯოლხეთის ცელქო რიონო!
უცხოეთიდან სალამს გიგზავნი,
სალამს მზიურს და არწივის ფრთიანს,
შენის ოცნებით ვიქარწყლებ ვარამს
და თავს გევლები, ბუნება ღვთიანს.
თუ ვეღარ გნახე, ტურფა ედემო,
და უცხო ცის ქვეშ ალმომხდა სული,
შენ დამიტირე, სიცოცხლევ ჩემო,
შენ მიისვენე შენი ერთგული!"

მიხეილ თამარაშვილი

მიხ. თამარაშვილის მემორიალური დაფა
სანტა მარინელაში

„აბატი **მიქელ თამარატი** (თამარაშვილი) დასახრჩობად განწირული ადამიანის გადარჩენისას თვითონ დაიღუპა სანტა მარინელას წლებში 1911 წლის 16 სექტემბერს. საუკუნო იქნება ხსოვნა მისი ტრაგიკული გმირობისა, ხსოვნა მისი სიკეთისა და სიყვარულისა მეგობრების მიმართ, სიყვარულისა შორეული სამშობლოს მიმართ, რაც მის წმინდა წიგნებში აისახა. სამშობლოდან ლტოლვილი, რომში დასახლებული, იგი იყო რწმენის სანიმუშო მსახური და მისი მგზნებარე მოციქული“.



მიხეილ თამარაშვილის დაკრძალვა
1978 წლის 26 ნოემბერი

დიდუბის პანთეონი, 1978 წლის 26 ნოემბერი



დიდუბის პანთეონი. 2011 წელი

წინათქმა

1960-1965 წლებში ვსწავლობდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე კურსზე შუა საუკუნეების ისტორიას გვიკითხავდა ასაკოვანი ლექტორი – დოცენტი შალვა აბრამიძე. პირველ ლექციაზე, როცა მან ჟურნალში ჩემი გვარი ამოიკითხა, მკითხა: "სადაური ფეიქრიშვილი ხართ? ქუთაისელ ფეიქრიშვილებს თუ იცნობთ?" მე ვუპასუხე: "ქუთაისში ფეიქრიშვილს არავის ვიცნობ, ჩემი მშობლები სამხრეთ საქართველოდან იმერეთში ჩამოსახლებული კათოლიკე მესხები არიან. ამჟამად ვცხოვრობთ წულუკიძის (ახლ. ხონის) რაიონის სოფელ ახალშენში". ბატონმა შალვამ მომისმინა და შემდეგ თქვა: "ჩემი ნაცნობი ქუთაისელი ფეიქრიშვილებიც კათოლიკეები არიან. სწორედ მესხეთიდან, ახალციხიდან, იყო წარმოშობით ქართველი კათოლიკე მღვდელი მიხეილ თამარაშვილი – ცნობილი მეცნიერი, ჩინებული ისტორიკოსი".

იმ დროს რელიგიაზე თითქმის არავინ საუბრობდა, ამიტომ მეც ჩემს კათოლიკობაზე განსაკუთრებული ყურადღება არ გამიმახვილებია, სამაგიეროდ, **პირველად გავიგონე თამარაშვილის გვარი**. . . სამწუხაროდ, სტუდენტობის წლებშიც თითქმის არაფერი მსმენია მის შესახებ, რადგან ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო (საბჭოთა ხელისუფლების პირობებში) სასულიერო პირთა ხსენებაც კი არ იყო ადვილი, მით უმეტეს, უცხოეთში მცხოვრები კათოლიკე მღვდლის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე სტუდენტურ აუდიტორიაში,

ცხადია, საჯაროდ ვერ ისაუბრებდნენ, თუმცა ჩემი ლექტორის სიტყვები თამარაშვილთან დაკავშირებით ყოველთვის მახსოვდა და მისი "ახლო გაცნობის" სურვილი შემდგომშიც ხშირ-ხშირად შემახსენებდა თავს.

მართალია, სტუდენტობის შემდეგ, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ძირითადად ენათმეცნიერული საკითხების კვლევით ვიყავი დაკავებული, მაგრამ, რამდენადაც ხელი მიმიწვდებოდა, მიხ. თამარაშვილის შესახებ თითოოროლა ზოგად ინფორმაციას მაინც ვკრებდი...

როცა უცხოეთში დაღუპული სახელგანთქმული ქართველი მეცნიერის მიხ. თამარაშვილის ნეშტი 1978 წელს იტალიიდან გადმოასვენეს და დიდი პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას, შეიძლება ითქვას, რომ თამარაშვილი მეორედ დაიბადა ქართველი ხალხისათვის. მაშინდელი პრესა ფართოდ აშუქებდა საამაყო შვილის ღვაწლს, მისი ნაშრომების ფასდაუდებელ მნიშვნელობას ისტორიოგრაფიაში. . .

ამის შემდეგ შედარებით ადვილი გახდა მიხ. თამარაშვილის შესახებ არსებული ლიტერატურის გაცნობა. ამ მხრივ ჩემთვის მეტად ფასეული და საინტერესო აღმოჩნდა **ზაქარია ჭიჭინაძის**, **შოთა ლომსაძისა** და სხვათა ნაშრომები (გასათვალისწინებელია, რომ იმხანად მიხ. თამარაშვილის წიგნები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა და ფართო მკითხველისათვის თითქმის მიუწვდომელი იყო). ამ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით პირველად გაზეთ "**ქუთაისში**" (1990, 27/VII) დავბეჭდე სტატია სათაურით "განსადიდებლად ქართულისა", სადაც მოკლედ იყო მიმოხილული უცხოეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების – **მიხეილ თამარაშვილის,**

მიხეილ თარხნიშვილისა და **შალვა ბერიძის** ქართველოლოგიური საქმიანობა, მათი მეცნიერული მემკვიდრეობა. ცოტა მოგვიანებით თამარაშვილთან დაკავშირებული ინფორმაციული ხასიათის წერილი დაიბეჭდა გაზეთ "**საქართველოს კათოლიკეში**" (1994, 6) და აგრეთვე ჩემს წიგნში "**ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში**" (თბ., 1996). ამ სახელგანთქმულ მეცნიერთან მას შემდეგ ხშირად მიხდებოდა "შეხვედრა" არაპირდაპირი გზით – ამა თუ იმ (ისტორიულ-ლიტერატურული) საკითხების კვლევისას თამარაშვილის ნაშრომებსაც ვიმოწმებდი.

... პირველად რომ წავიკითხე თამარაშვილის წიგნები ("ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", "პასუხად სომხის მწერლებს", "ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე"), მართლაც საოცარი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოვჩნდი: ჩემში ერთდროულად გაცნობიერდა, ერთი მხრივ, წიგნებში პირუთვნელად წარმოჩენილი ისტორიული სინამდვილე, იმხანად ქართველთათვის სრულიად უცნობი, მეტისმეტად ფასეული წყაროები (მასალები) და, მეორე მხრივ, ამ წიგნების სტრიქონებში დავანებული ავტორის სული – პიროვნება რკინისებური ნებისყოფით, გასაოცარი შრომისმოყვარეობით, სასიქადულო ერისკაცობითა და სანიმუშო კეთილშობილებით.

მიხ. თამარაშვილის უხვ ჭირნახულთან ყოველი შეხვედრა მხოლოდ მშრალ ისტორიულ ფაქტებს როდი აცნობს მკითხველს; იგი იმავდროულად თითოეულ მათგანს აწვდის სულიერ საზრდოს და მადლიერების ნიშნად აძლიერებს მოკრძალება-პატივისცემას ავტორისადმი. და ეს იმიტომ, რომ თამარაშვილი არ გახლდათ უბრალო – რიგითი ისტორიკოსი; პირიქით, მასზე

ძალუმად იყო გადმოსული ღვთიური მადლი, რაც წარმართავდა (გეზს აძლევდა) მთელ მის ცხოვრება-საქმიანობას.

• • •

უკვე ნახევარი საუკუნეა გასული მას შემდეგ, რაც "გავიცანი" მიხ. თამარაშვილი, რომელიც ჩემში ყოველთვის იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს არა მხოლოდ თავისი სულიერებით, ღვთისმოსაობით, არამედ როგორც მისაბაძი მეცნიერ-მკვლევარი უაღრესი პასუხისმგებლობით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებითა და, რაც მთავარია, ისტორიული ფაქტების ზედმიწევნითი სიზუსტით (მიუდგომლად) აღქმა-გააზრების თვალსაზრისით... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მიხ. თამარაშვილის წიგნები საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სამეცნიერო ნაშრომი. მისგან ამ მხრივაც ბევრი რამის სწავლა შეუძლია წიგნიერ მკითხველს, ხოლო იგი, როგორც პიროვნება, ჩვენ წინაშე წარმოსდგება, ვითარცა ზნეკეთილი მოძღვარი ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. ჩვენ, ყველანი, ვალში ვართ მისი ხსოვნის წინაშე და ეს ვალი გადაეცემა შემდგომ თაობებსაც, რომლებიც კვლავაც ინტერესით გაეცნობიან მის ნაღვაწს და მადლიერებით მოიხსენიებენ სახელოვან თანამემამულეს.

სწორედ მადლიერებისა და პატივგების ნიშნად ამჟამად, როცა ქართველი ხალხი ფართოდ აღნიშნავს მიხ. თამარაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავს, ჩვენი მოკრძალებული სურვილია მკითხველს გავუზიაროთ ფიქრები, შთაბეჭდილებანი ამ სასიქადულო ერისკაცზე – ისტორიკოსსა და პიროვნებაზე.

* * *

ნათქვამია, ყოველი კაცის ბედისწერა ცაშია გადაწყვეტილიო, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ კაცი მაინც თავად ქმნის თავის მომავალსო. ასეა თუ ისე, როცა მიხ. თამარაშვილის მოღვაწეობას საფუძვლიანად გაეცნობი, თავადაც ირწმუნებ, რომ მართლაც უფლის ნებით იყო განსაზღვრული და თანაც დალოცვილი თამარაშვილის ცხოვრების გზა დაბადებიდან სიცოცხლის დასალიერამდე!...

1858 წელს ახალციხეში, წვრილი ხელოსნის კათოლიკე პეტრე თამარაშვილის მრავალსულიან (ათი შვილი ჰყავდათ) ოჯახში, მეცხრე შვილად დაბადებული მიხეილი (ბავშვობაში – ალექსანდრე) უფალმა იმთავითვე გამოარჩია: მამას უფროსი ვაჟებისათვის ხელობა უსწავლებია, მიხეილი კი, როგორც ყველაზე უფრო გონებამახვილი ბავშვი, სასწავლებლად მიუბარებია იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამრევლო სკოლაში განთქმული მღვდლისა და საზო-

გადო მოღვაწის – “ვინმე მესხის” სახელით ცნობილი ივანე გვარამაძისათვის.

როგორც იგონებენ, იქ მიხეილმა მოძღვრისაგან მარტო წერა-კითხვა კი არ ისწავლა, არამედ “ღრუბელსავით შეისვა მამულის სიყვარული და მისთვის თავდადების აუცილებლობა”. ივანე გვარამაძემ თავიდანვე შენიშნა თურმე ნიჭიერ შეგირდს განსხვავებული აზროვნება, მისწრაფებანი და “ამიტომ საგანგებო წვრთნა დაუწყო მას, ვითარცა დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცსა”.

ნიჭიერ, ბეჯითსა და სულიერი თვისებებით გამორჩეულ მიხეილს მასწავლებლები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ბედისწერამ ყმაწვილის ოცნებებს ამჯერად ცოტა ხნით შეაკვეცა ფრთები, ცხოვრებამ თითქოს ერთგვარი გამოცდა მოუწყო ნებისყოფის გასაკაჟებლად და შრომისმოყვარეობის გასაძლიერებლად: მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ეკონომიურად ძალიან გაუჭირდა; 14 წლის მიხეილი სკოლიდან გამოვიდა, ერთ ხარაზთან ფეხსაცმლის კერვა ისწავლა და ძმასთან ერთად დაიწყო მენაღედ მუშაობა ჯერ ქუთაისში, შემდეგ — ხაშურში. სახელოსნომ სარგებელი ვერ მოუტანა ძმებს, რომლებიც ბოლოს ისევ მშობლიურ ახალციხეს დაუბრუნდნენ.

მართალია, ამ წლებშიც მიხეილი, როგორც კი მცირე თავისუფალ დროს გამონახავდა, მიდიოდა კათოლიკურ ეკლესიაში, ძველი წიგნებისა და ასომთავრულ-ნუსხურით დაწერილი ხელნაწერების კითხვაში იწაფებოდა, ბიბლიის უძველესი ფრაგმენტების გარჩევას ცდილობდა, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ აკმაყოფილებდა, მისი მოწოდება სხვა იყო, უფალი მას

სხვა საქმისათვის ამზადებდა. და აი, კიდეც დადგა ეს ჟამი: **1878** წელს 20 წლის მიხეილი, მიუხედავად ოჯახის უსახსრობისა, ივ. გვარამაძის დაჟინებული რჩევით, ლოცვა-კურთხევით, მისივე მცირე ფინანსური შესაწევარითა და პეტრე ხარისჭირაშვილთან გატანებული წერილით გაემართა სტამბოლისაკენ. იგი ჩარიცხეს **კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ სასწავლებელში**. იქვე აღიკვეცა ბერად. ამიერიდან მიხეილისათვის დაიწყო ახალი და საინტერესო ცხოვრება, თუმცა მალე ცხადი გახდა, რომ თეოლოგიის გარდა ჭაბუკს დაჟინებით იხმობდნენ ისტორიული ხასიათის წიგნები, ძველი ხელნაწერები. . .

სამი წლის შემდეგ ფერიქოეს ქართველ კათოლიკეთა ძმობამ მიხეილი სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნა **ესპანეთში**, სასულიერო სემინარიაში. იქიდან დაბრუნებული კიდეც აკურთხეს მღვდლად, მაგრამ მონასტერში იგი დიდხანს აღარ დარჩენილა, ჩაირიცხა **პარიზის** წმ. ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში. სწორედ იქ, პარიზის მუზეუმებში, წიგნთსაცავებში, არქივებში, გაეცნო ნამდვილ მეცნიერულ ცხოვრებას და თავადაც იქვე გადადგა პირველი ნაბიჯები სამეცნიერო მუშაობაში.

ღრმად განსწავლული მიხეილი, განათლებითა და მაღალზნეობით აღსავსე, **1880**-იანი წლების ბოლოს საქართველოში დაბრუნდა ერთადერთი მიზნით – მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ სასულიერო საქმე შეეთავსებინა მეცნიერულ მუშაობასთან; დაბრუნდა და, როცა დანიშნეს **თბილისის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში მღვდლად**, კიდეც შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას: წირვის დროს მოძ-

ღვარი “ეკლესიის კათედრიდან მრევლს ეროვ-ნული ისტორიის პატრიოტულ ფურცლებს ახ-სენებდა, სიმტკიცისა და ერთიანობისაკენ მოუ-წოდებდა. მიხეილ თამარაშვილის ქადაგებაზე, რომელიც ეროვნულ საკითხებზე ჩატარებულ მეცნიერულ ლექციებს უფრო ჰგავდა, მრევლმა იმატა. ქართველ კათოლიკეთა სიხარულს საზ-ღვარი არ ჰქონდა, მათ რწმენასა და ოცნებას ფრთები ესხმებოდა” (**შ. ლომსაძე**). ამასთან და-კავშირებით გვაგონდება ქართველი კათოლიკე მღვდლის კონსტანტინე საფარიშვილის ერთი საინტერესო მოგონებაც: “მის (მიხეილის – ჟ.ფ.) ქადაგებაზე ბევრი ხალხი დადიოდა, კა-თოლიკე და არაკათოლიკე. იგი ქართულად ლა-პარაკობდა; ოდნავ აჩქარებული ტონი ჰქონდა. მახსოვს ერთხელ მრევლს ასეთი კითხვით მი-მართა: რა არის დღეის ამოცანა? და თვითონვე უპასუხა: დღეის ამოცანა საკუთარი თავის ცნობაა. თავის ცნობისათვის საჭიროა ნათესავ-ტომობის ცნობა, ანუ იმის გარკვევა, ვინ რა გვარის სისხლ-ხორცისაგან და რა ტომის დედ-მამისაგან მოედინება. ვინც ამას გაარკვევს, ის იმასაც გაიგებს, შემდეგ რა გზით იაროს.”

• • •

მიხ. თამარაშვილმა თავისი სიცოცხლის ნახევარზე მეტი უცხოეთში გაატარა, მაგრამ არასოდეს განელებია სიყვარული მშობლიური ქვეყნისა, სადაც იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარების გამო მას, როგორც “უცხო იდეე-ბით” გამსჭვალულ და მთავრობისათვის “სერი-ოზულად საშიშ” პიროვნებას, აუკრძალეს არა მხოლოდ მოღვაწეობა, არამედ ცხოვრებაც კი! თუმცა, მეორე მხრივ, თვალს თუ გავადევნებთ

მთელ მის საქმიანობას, ცხადი ხდება, რომ ეს გაძევება მისთვის სასჯელი კი არა, ზენაარისაგან ბოძებული მადლი იყო: თამარაშვილს აუცილებლად უნდა ეცხოვრა უცხოეთში, რათა, ჯერ ერთი, სამშობლოსათვის გაეწია ფასდაუდებელი სამსახური — ევროპის დიდი ქალაქების წიგნთსაცავებში განსაკუთრებული ინტერესით დაეძებნა იმ დროს ქართველი კაცისათვის ფიზიკურად ხელმიუწვდომელი მასალები; ამოეკითხა, გაეშიფრა და ევროპელთათვის ცნობილი გაეხადა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავისი წიაღსვლებითა თუ ტრაგიკული ეპიზოდებით... და, მეორეც, მიეღო უმაღლესი თეოლოგიური განათლება და მოეპოვებინა სამეცნიერო ხარისხი.

ცნობისათვის აქვე დავსძენთ: სამშობლოდან გაძევებული მიხეილი ცოტა ხანს კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში შეჩერდა, შემდეგ რომში ჩავიდა სწავლის გასაგრძელებლად. ქველმოქმედი თანამემამულეების – ზუბალაშვილების თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით **1891-1894 წლებში სწავლობდა რომის სასულიერო აკადემიაში; აქვე მიანიჭეს ღვთისმეტყველებაში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.** წლების მანძილზე მუშაობდა რომის უნივერსიტეტში პროფესორად, მოღვაწეობდა, აგრეთვე, სხვადასხვა კოლეჯში; საგულისხმოა ისიც, რომ ზედმიწევნით კარგად ფლობდა მრავალ უცხო ენას: **ფრანგულს, იტალიურს, ლათინურს, თურქულს, სომხურს, რუსულს**.

• • •

უთუოდ უფლის შთაგონება იყო გადამწყვეტი მაშინაც, როცა მეისტორიეს მძიმე შრომით დაქანცული, ხშირად უსახსრობითაც შეჭირვებული, თითქმის მშიერ—მწყურვალი კვლავ და კვლავ იძირებოდა ისტორიულ საბუთებში, უცხოელთა მიერ საქართველოს შესახებ დაწერილ წერილებში. უსაზღვრო სიხარულს გრძნობდა თითოეული ცნობის, დოკუმენტისა თუ ჩანაწერის მოძიების დროს: “ამ ხანებში სხვას არაფერს ვაკეთებ, თუ არა მუდამ-დღე სხვადასხვა არქივებში და ბიბლიოთეკებში დავეძებ კიდევ ცნობებს. ღვთის შეწევნით, ჩემი შრომა უნაყოფოდ არ რჩება... საკმაოდ შესანიშნავ ცნობებს ვკრებ... მეც, რაც შემიძლია, ვშრომობ და ვეძებ ყველანაირ წიგნებში” (ნაწყვეტი **ზ. ჭიჭინაძისადმი** მიწერილი წერილიდან); “მე პირველად ვხედავ ასეთ შრომისმოყვარე ქართველ კაცს. ეს პირველი მაგალითია, რომ ასეთ შრომასა და ცდასთან ევროპის ერთა ამდენი ენებიც იცოდეს” (**ალ. ხახანაშვილი**).

მიხეილი შრომობდა თავდაუზოგავად იმ რწმენით, რომ იხდიდა თავის მამულიშვილურ ვალს; შრომობდა ინტერესით, სიყვარულით, შეუპოვრობით და შედეგმაც ბუნებრივად არ დააყოვნა: სიცოცხლეშივე მოესწრო საქვეყნოდ აღიარებას, თავისი ნაღვაწის ჯეროვან შეფასებასა და დაფასებას. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია, რომელიც ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს უცხოეთში მყოფი თანამემამულის საქმიანობას, უდიდესი მადლიერებით შეხვდა მისი ნაშრომების გამოქვეყნებას, ხოლო ევროპის განათლებული

საზოგადოება თამარაშვილის წიგნებით დახატულ საქართველოს – ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ბრძოლას თვითმყოფადობისა და რწმენის გადასარჩენად – ახალ აღმოჩენად მიიჩნევდა. სწორედ უზენაესმა ძალამ გამოარჩია მიხეილი თანამემამულეთაგან, რათა თაობებისათვის შემოენახა ქართველთა რელიგიური ცხოვრების ჭეშმარიტი მატიანე და ჩვენი ერის ისტორიისათვის მეტად ფასეული შრომებით შუქი მოეფინა ისტორიოგრაფიაში თავჩენილი ბევრი სადავო პრობლემისათვის, გამოეაშკარავებინა ყალბი მოსაზრებანი.

• • •

თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ მიხ. თამარაშვილმა ქართველთაგან ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას რომის, ვატიკანის, ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის, ალექსანდრიის, ბეირუთის, ტრაპიზონის, ალეპოს, ქაიროს, კონსტანტინოპოლისა და უცხოეთის სხვა დიდი ქალაქების არქივებსა და ბიბლიოთეკებში მოძიებული მასალებით. აქვე თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მანვე პირველმა მიაკვლია სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის მასალებს, სიცილიაში პირველმა აღმოაჩინა კასტელის მიერ საქართველოში შესრულებული ჩანახატების, სურათების ალბომი, რომლის ფოტოასლის გადმოსაღებად და წარწერების შესასწავლად დიდ ხარჯთან ერთად დიდი შრომაც გასწია (“ყველა საქმე დიდის სიამოვნებით ვიტვირთეთ, რათა საქართველოსათვის შეგვეძინა ეს ძვირფასი განძი ჩვენი წარსულისა”), შეუძ-

ლებელია, ამ სასიქადულო მამულიშვილის მიმართ თითოეულ ჩვენგანში არ გახმიანდეს სამადლობელი სიტყვები ამ ღვაწლისათვის!

და ბოლოს, ღვთის ნება იყო ისიც, რომ თამარაშვილი საქვეყნოდ ცნობილი გამხდარიყო არა მხოლოდ მეცნიერული ნაშრომებით, არამედ პიროვნული თვისებებითაც: შინაგანი მაღალი სულიერება, მოყვასის სიყვარულის მადლი ამშვენებდა ამ ღვთისმოსავ ადამიანს, რომელიც უყოყმანოდ შეეწირა სხვისი სიცოცხლის გადარჩენას – აღელვებულ ზღვაში გადაეშვა უცნობი მამაკაცის მისაშველებლად; უცნობი დახრჩობას გადარჩა, მიხეილი კი დაიღუპა (სამწუხაროდ, მასთან ერთად დაიხრჩო თურმე განწირულის მისაშველებლად წყალში შეცურებული პროფესორი ა ვ გ უ ს ტ ო ს ი — თამარაშვილის მოწაფე და ახალგაზრდა კოლეგა)... როცა ამ შემთხვევას უფრო ღრმად ჩაუკვირდები, მისგან აღარც კი გიკვირს ასეთი თავგანწირვა. განა შეიძლებოდა სხვაგვარად მოქცეულიყო კაცი, რომლის მრწამსით, "ცხოვრება არის ბრძოლა არა მხოლოდ არსებობის შესანარჩუნებლად, ადამიანის მატერიალური ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის... არამედ **ცხოვრება არის და უნდა იყოს ბრძოლა ადამიანის პატიოსნების შეძენის, შენარჩუნებისა და გარშემო მისი გავრცელებისათვის".**

დიახ, მიხ. თამარაშვილის ეს თავგანწირვა არ იყო შემთხვევითი, უეცარი აფექტის შედეგი. უთუოდ იმ საბედისწერო წამებშიც, როგორც ყოველთვის, ამ ჭეშმარიტ ქრისტიანს, სულიერ მამას ამოქმედებდა მისი ადამიანური მოვალეობა – სხვათა მსახურება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიხეილი სხვაგვარად ვერ მოიქცე-

ოდა! “როცა 53 წლის მიქელ თამარაშვილი ადამიანის გადასარჩენად აბობოქრებულ ზღვაში გადაეშვა, მას არ უფიქრია, იგი, ვინც იხრჩობოდა, რა რწმენის კაცი იყო – კათოლიკე ქრისტიანი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, ბუდისტი თუ მუსლიმი. მას ადამიანის შველა უნდოდა. მიქელ თამარაშვილი ღირსეულად ატარებდა კათოლიკე ქრისტიანის სახელს სწორედ იმიტომ, რომ მას არასოდეს შეუხედავს ათვალწუნებით სხვა რწმენის ადამიანისათვის. მის მეცნიერულ ღვაწლს ეს ზნეობრივი გაკვეთილიც ამშვენებს” (**აკ. ბაქრაძე**).

“თამარაშვილი დაიღუპა როგორც ნამდვილი რაინდი, მშობელი ერის ღირსებისა და მაღალი თვისებების გამომსხივებელი” (**ჯ. ღვინჯილია**).

მიხ. თამარაშვილის მოულოდნელმა გარდაცვალებამ მთელი საქართველო შეძრა. იმდროინდელი პრესა (ქართული თუ რუსულენოვანი გაზეთები) მწუხარებით იუწყებოდა სახელოვანი მამულიშვილის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ, ვრცლად მოუთხრობდა მკითხველებს თამარაშვილის დიდ დამსახურებაზე, მისი მეცნიერული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე... და ხალხს მოუწოდებდა, ღირსეულად ვიტიროთ საქართველოს ღირსეული შვილიო. მოწინავე ინტელიგენცია, ფართო საზოგადოება მიხეილის დაღუპვას ქართული ისტორიოგრაფიის აუნაზღაურებელ დანაკლისად მიიჩნევდა. სამგლოვიარო პანაშვიდები ჩატარდა თბილისში, ახალციხეში. ჩვენი წარსული ცხოვრების მემატიანეს მწუხარებით ეთხოვებოდნენ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანები. ეს სიკვდილი განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო მ. ივანე გვარამაძისათვის, რომელ-

მაც ამ ამბის შემდეგ “რვა თვე იავადმყოფა და მერე თავის მოწაფესა და სულის მესაიდუმლეს სამუდამოდ დაემგზავრა” (**შ. ლომსაძე**), ამიერში კი დატოვა სიკვდილის წინ დაწერილი გამოსათხოვარი სულიერი შვილისადმი – უფაქიზესი, სათუთი გრძნობით დამუხტული “მოთქმა”, რომელშიც საოცარი სიძლიერით ღაღადებს “შვილმკვდარი” მამის წუხილი და გოდება მისი იმედისა და ნუგეშის დაკარგვის გამო. იმ ვრცელი “დატირებიდან” ამჯერად დავიმოწმებთ მხოლოდ მცირე ამონარიდს: “ვგლოვობ, ვტირი მწარედ, აღარავინ მეგულება ჩვენში ჯერჯერობით მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილ განათლებული, შეგნებული, მართალი, სუფთა, ნიჭიერი, კურთხეული ენაპირის მქონე, მიმზიდველი; კაცის სულის, გულის მანუგეშებელი დიდად, შეუვალი ციხე კოშკსავით, მცველ მფარველი ჩვენი, ძვირფასი საუნჯე, ჭკუა, ცნობის კოლოფი, ტახტი მეცნიერებისა, მოსარჩლე სარწმუნოებისა, სამშობლო-მამულის დიდი მოყვარე, გვარის ბატონი, ქვეყნის სანატრელი და მტრის საშურველი, ძლიერი ფარ-ხმალი... უფალმან მომცა... უფალმან მიიღო” (**ი. გვარამაძე**).

მიხეილი 1911 წელს უცხოეთში აღესრულა ფიზიკურად – შორეული იტალიის მიწას მიებარა მისი სხეული, მაგრამ სული, მის ნაშრომებში გაცოცხლებული, წიგნების სახით დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს სანუგეშოდ და საამაყოდ. იმ ხანებში ქართველმა ინტელიგენციამ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ მოახერხა ამაგდარი შვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება; მეტიც: საქართველოდან ერთი ადამიანიც ვერ ჩავიდა იტალიაში მის დაკრძალვაზე, არც მშობლიური მიწა დაუყრიათ გულზე. . .

მიხ. თამარაშვილი იტალიაში დიდი პატივით დაკრძალეს. იქაური პრესა საზოგადოებას დაწვრილებით აცნობდა ქართველი მეცნიერის უდიდეს ღვაწლს ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლაში, თანვე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ "ამ კაცში ბუნებრივად იყო შეთვისებული თავისი ერისათვის დამახასიათებელი ერთგულება და კაცთმოყვარეობისათვის გმირული თავგანწირვა". ერთი წლის შემდეგ (წლისთავზე), მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად, იტალიელებმა თამარაშვილის საფლავზე აღმართეს შესანიშნავი ძეგლი, რომსა და ვატიკანში გადახდილ იქნა ფართომასშტაბიანი პანაშვიდები, რომში დაიბეჭდა და გავრცელდა ღია ბარათები მიხ. თამარაშვილის სურათით...

სამწუხაროდ, მომდევნო ათწლეულებში მიზეზთა და მიზეზთა გამო ჩვენში აღარავინ დაინტერესებულა მიხეილის ნეშტის არათუ გადმოსვენებით, არამედ მისი საფლავის მოძიება-პატრონობითაც. იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაც ჯეროვნად ვერ აფასებდა საამაყო მამულიშვილის მეტად მნიშვნელოვან მეცნიერულ მემკვიდრეობას; "რევოლუციის შემდეგ ზოგიერთი ვაი-მეცნიერი თამარაშვილის, ვითარცა კათოლიკური ეკლესიის მოძღვრის, შრომებს თავს არიდებდა და გაურბოდა. მისი სრული დაფასება მხოლოდ უკანასკნელ წლებში ხდება შესაძლებელი" (**შ. ლომსაძე**).

1970-იანი წლების ბოლოს, როცა თურმე მოსალოდნელი იყო უცხოეთში თამარაშვილის საფლავის დაკარგვა, ღვთის წყალობითა და ქართული კულტურის მოჭირნახულე ადამიანთა ერთი ჯგუფის უდიდესი ძალისხმევით, მწერალ რეზო თაბუკაშვილის ხელმძღვანე-

ლობით შესაძლებელი გახდა მიხ. თამარაშვილის სხეულსაც ეპოვა სამუდამო განსასვენებელი სამშობლოში, ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას. საქართველოს პრესამ, ტელევიზიამ დიდი ადგილი დაუთმო განსვენებული მეცნიერის სამაგალითო ცხოვრების გაშუქებას...

მ. თამარაშვილის სამშობლოში დაბრუნებამ თითქოს ერთბაშად გამოაფხიზლა ქართველობა და გაბედულად დაარღვევინა წლების მანძილზე მის მიმართ გამეფებული დუმილი. ქვეყანამ იგრძნო, რომ თავის ამაგდარ შვილს ახლა მაინც უნდა მოჰფერებოდა და გულღიად გამოეხატა მისდამი მადლიერება და სიყვარული. შეიძლება ითქვას, რომ 1978 წლის შემოდგომა თამარაშვილის დღეებთან დაკავშირებით იყო ქართველი ერის დაუბერებელი შინაგანი ენერგიის გამოვლენა, საერთო ეროვნული ღირსების ერთგვარი ზეიმი და გამარჯვებაც!

. . . **თბილისი, 26 ნოემბერი, 1978 წელი – მიხეილ თამარაშვილის დაკრძალვის დღე**... ამჟამინდელი გადასახედიდან იგი ასეთად წარმომიდგენია: ზღვა ხალხს ვეღარ იტევს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი და მისი შემოგარენი...

ბედი მდევარი სიკვდილის შემდეგაც შავ აჩრდილად ყველგან დაჰყვებოდა ზვარაკად შეწირულ სხეულსა და სულს. როგორც იქნა, მრავალი წლის შემდეგ თამარაშვილი მთლიანად დაუბრუნდა სამშობლოს – პირველ ხანებში "ფარულად", მაგრამ – დ ა ბ რ უ ნ დ ა! უცხოეთიდან საიდუმლოდ გადმოსვენებული წმინდა ნეშტი კეთილი ადამიანების წყალობით კარგა ხანს "შეიფარა" ხელოვნების მუზეუმმა, რა

თქმა უნდა, ისევ საიდუმლოდ. მართალია, იმ დღეებში მუზეუმის შენობა ამ საქმის მესვეურთა მხრიდან ალბათ აღიქმებოდა მხოლოდ ძვირფასი ნეშტის გადასარჩენად შერჩეულ ყველაზე "საიმედო" ადგილად, მაგრამ ამ ფაქტზე მე ცოტა სხვაგვარადაც ვფიქრობ: სამშობლოში, თბილისში, დაბრუნებული თამარაშვილის უპირველესი ჭირისუფალი, გულთბილი მასპინძელი უნდა ყოფილიყო სწორედ ხელოვნების მუზეუმი – თამარაშვილის გულუხვი მეცენატების ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს გვარის კუთვნილი დიდებული სასახლე.

დაკრძალვის დღეს რეზო თაბუკაშვილის სურვილისამებრ მუზეუმის ვესტიბიული თეთრი ფერით იყო შემოსილი. შუაგულში ესვენა ლამაზი, ორიგინალური ფორმის თეთრი კუბო. ზღვა ყვავილების ფონზე ეს სითეთრე – სიწმინდის სიმბოლო – საოცრად ამაღლებულ განცდებს იწვევდა და იქაურობას სევდანარევ, მაგრამ მაინც საზეიმო იერს აძლევდა. იმ დღეს ყველაფერი იყო სისადავით დამშვენებული და ღირსეული შვილისადმი გულწრფელი პატივისცემის გამომხატველი. . .

ნაშუადღევს ხელოვნების მუზეუმმა, ზუბალაშვილებმა წუხილითა და თან სიამაყით "გააცილეს" სახელოვანი თანამემამულე სამუდამო განსასვენებლისაკენ მიმავალ გზაზე, ხოლო საღამო ხანს მთელმა ქართველმა ხალხმა ცრემლებით გაჯერებული მადლიერების გრძნობით სათუთად მიაბარა მშობლიურ მიწას წმინდა ნეშტი. ათეული წლების წინათ ჩვენი ქვეყნის ზეციურ საუფლოში დავანებული სული ამიერიდან შეუერთდა თავისსავე სხეულს. . .

თამარაშვილის დღეების გასახსენებლად მოვიხმობთ, აგრეთვე, ორიოდე ამონარიდს იმ-დროინდელი პრესის ფურცლებიდან: “კუბოზე ისევ ცოცხლად ეწყო თურმე 67 წლის წინათ დაკ-რეფილი ყვავილები... ამაღელვებელია მისი ცხოვრების ისტორია, ამაღელვებელია მისი სი-ცოცხლის უკანასკნელი დღეც... მომხიბვლელია ეს ტრაგიკული და მაინც ულამაზესი დასასრუ-ლი მისი სიცოცხლისა, ქრისტიანული დასასრუ-ლი... ადამიანის ცხოვრებაში გადადგმულ ასეთ ნაბიჯს ხშირად დიდი შემოქმედების მწვერვა-ლებსაც უთანაბრებენ... და ეს ასეცაა. ძვირფას წიგნებს შორის, რომლებიც მან თავის ერს დაუ-ტოვა, ერთ-ერთი საუკეთესო იმ უცნობი იტალი-ელი მოქალაქის გადარჩენილი სიცოცხლეცაა...

იყო ცრემლიც, იყო ღიმილიც და ყველაზე მეტი იყო სიხარული. . . ხალხმა, ქართველმა ხალხმა, ამ ნათელ დღეს ერთხელ კიდევ ღრმად იწამა თვისი უკვდავება, ერთხელ კიდევ ეზიარა იმ მაღალ სიწმინდეს, რომელიც ასე აუცილებე-ლი და საჭიროა მისთვის” (“**ჯვარი ვაზისა**”, 1978).

“ადამიანი, რომელთან გამოსათხოვებლად დიდძალი ხალხი მოვიდა, 67 წლის წინათ გარ-დაიცვალა და, ამდენად, უკანასკნელი ვალის მოსახდელად მოსულთა უმრავლესობა მისი გარდაცვალების მრავალი წლის შემდეგაა და-ბადებული. მაგრამ ზღვა ხალხში იგრძნობოდა განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცე-მა მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თამარაშვი-ლის დიდი მამულიშვილური ღვაწლი და ქართუ-ლი მეცნიერების წინაშე დამსახურება აქამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. ისეთი შთაბეჭდილე-

ბა დაგრჩებოდათ, რომ დაკრძალვაზე მოსულ ამდენ ხალხში ყველას კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული მნიშვნელობა მისი მოღვაწეობისა.

თქვენ იქ ისმენდით სევდიან მუსიკას, ძველ ქართულ საგალობლებს, კლასიკური მუსიკის ჰანგებს. . . და ისე იყო ყველაფერი შერჩეული, რომ ხელს უწყობდა სასურველი განწყობის შექმნას, უხდებოდა ამ ამაღლებულ, სევდაგარეულ სიხარულს, რომ მშობლიურ მიწას დაუბრუნდა უცხოობაში დიდი ხნის წინათ გადაკარგული ღვიძლი შვილი, რომ ამიერიდან ქართული ისტორიოგრაფიის სამსახურში უფრო აქტიურად ჩადგება დიდებული მეცნიერის მთელი მოღვაწეობა” (“**ლიტერატურული საქართველო**”, 1978).

26 ნოემბერზე ფიქრი გვინდა დავასრულოთ **შ. ლომსაძის** მოგონებით: “საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ვრცელ ვესტიბიულში გამართულ პანაშვიდზე უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ რაიონებიდან ჩამოსული მშრომელები, დედაქალაქის მუშა-მოსამსახურენი, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მუშაკები. ისინი ქედს იხრიდნენ ვალმოხდილი მამულიშვილის წმინდა ნეშტის წინაშე... ისმოდა გალობის დამატყვევებელი ხმები და შემოდგომის თბილისური დღე იჟღინთებოდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ჰანგებით...

როცა მზე დასავლეთით გადაიხარა, ხელოვნების მუზეუმიდან რუსთაველის გამზირზე გამოსული პროცესია დიდუბის პანთეონისაკენ დაიძრა. ტევა არ იყო. ამდენი ერთად შეყრილი ხალხი თბილისს იშვიათად ახსოვს... თავისი მამული აფრქვევდა სიამაყის ცრემლებს. ხელში ატაცებული კუბოთი მიირწეოდა პროცესია და

თითქოს ქაშუეთის ზარები ყველას გასაგონად გუგუნებდნენ: “არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია”. ხუთი კილომეტრის მანძილზე თამარაშვილის კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. ესეც სიყვარულის თავისებური გამოხატულება იყო...

დიდუბეში, სამგლოვიარო მიტინგზე, გამოსათხოვარი სიტყვებით ერთიმეორეს ცვლიდნენ ორატორები... კვლავ იყო გახსენება მისი თავგანწირული შრომისა, ხალხისა და სამშობლოსადმი მიგებული სამსახურისა, რომლის წილ დიდ სიყვარულს ახლა იმკიდა. გაისმა უკანასკნელი აკორდებიც და თამარაშვილი სათაყვანებელი აკაკის უკვდავი სტრიქონებით: “ვერ ავიტანე ობლობა, სიმწრის ცრემლები ვღვარეო... დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო”, რომელიც მის ცხოვრებას ასე ესადაგებოდა, ჩაასვენეს დიდუბის წმინდა მიწაში”.

* * *

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა და აღიზარდა სამხრეთ საქართველოში, რეგიონში, რომელიც საუკუნეების მანძილზე სპარს-ოსმალთა სათარეშო მოედნად იყო ქცეული. იქაური ქართველებისათვის ეროვნულობისა და რჯულის შენარჩუნება უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა. ამ მხრივ კიდევ უფრო გამწვავდა მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა ირანისა და თურქეთის აგრესიას დაემატა მეფის რუსეთის იმპერიული ზრახვებიც. მაშინ უცხო ტომელთა მთავარი საზრუნავი იყო ქართველი ერის სულიერი გადაგვარება და მერე მისი ფიზიკური განადგურება (სახელმწიფოებ-

რიობის მოსპობა), რისთვისაც მარჯვედ იყენებ-
დნენ სხვა დამატებითს საშუალებებსაც: რჯუ-
ლის შეცვლას, ეთნიკური თუ რელიგიური აღ-
მსარებლობის ნიშნით ადგილობრივთა შორის
შუღლის ჩამოგდებას, ეროვნულობისა და რწმე-
ნის გაიგივებას და ა.შ. სამწუხაროდ, ამ მიზან-
მიმართულ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა სამ-
ხრეთ საქართველოს ძირძველ კუთხეებში
მცხოვრებ მართლმადიდებელ ქართველთა დი-
დი ნაწილის გამაჰმადიანება და შემდგომ გა-
თურქება, ქართველ კათოლიკეთა არაქართვე-
ლებად გამოცხადება... ამის გამო იყო, რომ სამ-
ხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორია-
ზე (ართვინი, შავშეთი, მესხეთ-ჯავახეთი) დაიწ-
ყეს ქართველ კათოლიკეთა მასიური გასომხე-
ბა. სომეხი "მოღვაწეები" იქამდეც მივიდნენ,
რომ საერთოდ უარყოფდნენ საქართველოში
კათოლიკობის ისტორიას...

ასეთ რთულ ვითარებაში, ეთნიკურად თუ
სარწმუნოებრივად მრავალფეროვან მხარეში
უხდებოდათ მოღვაწეობა ჭეშმარიტ ერისკა-
ცებს – მესხ კათოლიკეებს: ივანე გვარამა-
ძეს, პეტრე ხარისჭირაშვილს და მათ
თანამოაზრეებს. ისინი შეუპოვრად იბრძოდნენ
მშობლიური კუთხის გადასარჩენად, ქართვე-
ლობისა და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად.

ამ სახელოვანი თანამემამულეების ეროვ-
ნულ იდეებს თამარაშვილი ბავშვობიდანვე ეზი-
არა; მათგან შეითვისა საქვეყნო საქმის ერთგუ-
ლება. იგი განსაკუთრებით მტკივნეულად გა-
ნიცდიდა ქართველ კათოლიკეთა მიმართ აშკა-
რად გამოხატულ მტრულ პოლიტიკას, რომლის
წყალობით, მავანთა და მავანთა მიერ იჩქმალე-
ბოდა ამ კუთხის ქართველთა ჭეშმარიტი ისტო-

რია და ფართოდ ვრცელდებოდა ყალბი ინფორ-მაციები უცხოენოვან წიგნებსა თუ პრესაში. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენში არ მოიპოვებოდა ისეთი ნაშრომები, უტყუარი მასალები, რომლე-ბიც აღადგენდნენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიური ცხოვრების გან-ვლილ გზას. სწორედ ამიტომაც მიიჩნევდა მი-ხეილი აუცილებლობად, საქართველოს ისტო-რიასთან დაკავშირებული ცნობები პირველ რიგში დაძებნილიყო ევროპის დიდი ქალაქების არქივებში.

* * *

. . . და შეიქმნა საკმაოდ დიდი მოცულობის ნაშრომი "**ისტორია კათოლიკობისა ქართველ-თა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე**" (წიგნი გამოიცა თბილისში 1902 წელს), რომელიც მხოლოდ ქართველ კათოლიკე-თა ისტორია როდია. რეალურად იგი გახლავთ ერთიანი საქართველოს შვიდსაუკუნოვანი მატი-ანე, უცხოური წყაროებით დამოწმებულ-დასა-ბუთებული, სადაც კათოლიკობის ისტორია ბუ-ნებრივად არის შერწყმული ჩვენი ქვეყნის პოლი-ტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვ-რების აღწერასთან. გარდა ამისა, მკითხველი იქ იპოვის ბევრ საინტერესო ცნობას სხვა ქვეყნე-ბისა და ხალხების შესახებაც.

"მიხ. თამარაშვილის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული მასალები, საქართველოს სა-გარეო პოლიტიკისა და ფარული თუ აშკარა დიპლომატიის შესასწავლად ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავდა, ცნობებს, რომლებიც ვერ

აისახა ოფიციალურ ქართულ მატიანეებსა და ქრონიკებში” (**ელ. მეტრეველი**).

ნაშრომს განსაკუთრებულ ღირსებას ჰმატებს ისიც, რომ მასში დახასიათებულია უცხოელთა (ევროპელი მოგზაურების, კათოლიკე მისიონერების) თვალით ნახული პერსონაჟები, ფაქტები, მათ მიერ განცდილი მოვლენები, ერთიანი საქართველოს ცხოვრება... ქართული ისტორიოგრაფიისათვის მეტად ფასეულია აგრეთვე ჩვენი ხალხის მწიგნობრულ თუ საგანმანათლებლო ტრადიციებთან დაკავშირებული მასალები, ინფორმაციები: პირველი ქართული წიგნების დაბეჭდვა რომში; მისიონერთა მიერ საქართველოში გახსნილ სკოლებში ქართველი ბავშვების გაწვრთნა მათ მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებითა და ლექსიკონებით; ევროპული განათლება-კულტურის შემოტანა ჩვენში; რომში კათოლიკეთა კონგრეგაციის მიერ ქართული ენის კათედრის დაარსება და ა.შ. კიდევ უამრავ საყურადღებო და საინტერესო საკითხს ეხება ეს წიგნი და, როცა წაკითხულს მთლიანობაში ერთხელ კიდევ გაიაზრებ, შეუძლებელია უნებურად არ მოგაგონდეს ილია ჭავჭავაძის სიტყვები: “ზოგი კაცი იმისთანაა, რომ არ ვიცით, რომელი მხრიდამ დავუწყოთ ყურება, რადგან ყოველი მხრიდამ დიდებული სანახავია”. დიახ, ეს წიგნი თემატურად მართლაც იმდენად მრავალმხრივია, რომ ძნელია მასში გამოკვეთო ერთი რომელიმე ძირითადი კონკრეტული საკითხი. იგი ჭეშმარიტად მოიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა ასპექტს. ამ ენციკლოპედიური შინაარსის ნაშრომში ყველაფერი უაღრესი პასუხისმგებლობითა და მეცნიერული სიფრთხილითაა აღწერი-

ლი. მრავალფეროვანი წერილობითი წყაროები კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ავტორისეულ თხრობას. მეტიც: კითხულობ ამ წიგნს და რწმუნდები, რომ თამარაშვილი ისეთი ჟამთა-აღმწერელი როდია, ცივი გონებით რომ აფიქსირებს ფაქტებს, პირიქით, ქართველთა ავბედითი ისტორიის დამადასტურებელი წერილებისა თუ ცნობების განხილვისას მკითხველი აშკარად გრძნობს მშობლიური ქვეყნის ბედუკუღმართობის გამო ავტორის სულის ტკივილს და ბუნებრივად თვითონაც ხდება ამ წუხილის თანაზიარი.

სწორედ ასეთად აღიქვა ქართველმა ინტელიგენციამ ეს დიდებული წიგნი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის შეფასებით დამსახურებულად უწოდეს "**მეორე ქართლის ცხოვრება**": "წიგნს ქართველებისათვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით გამოცემის სათაური. ეს მარტო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი "მეორე ქართლის ცხოვრებაა" მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ "ქართლის ცხოვრება" უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნი კი პოლიტიკურსაც და ეტნოგრაფიულსაც" (**მ. ჯანაშვილი**); "ვერც ერთი ქართველი ვერ შეისწავლის საქართველოს ისტორიას ისე, თუ ის ამ ვრცელ შრომას არ წაიკითხავს; ისტორიის მაძიებელი აქ ყველა დარგის ცნობებს ჰპოვებს საქართველოს ერის შინაგან ყოფა-ცხოვრების შესახებ... მიხ. თამარაშვილის შრომის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ისტორიის დაწერა

(**ზ. ჭიჭინაძე**); “წიგნი “ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის” ჩვენი ისტორიისათვის შეუდარებელი მნიშვნელობის ძეგლია... მიხ. თამარაშვილის შრომამ მე ცხადლივ დამიმტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ ქართველ კაცსაც შესძლებია ვრცელი თხზულების წერა” (**ალ. ხახანაშვილი**);

“ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის” თავდაცვისა და შეტევის მახვილი იყო არა მარტო ქართველი კათოლიკეების ხელში, არამედ მთელი ქართველი ხალხის ხელში” (**აკ. ბაქრაძე**).

ღირსსაცნობია, რომ ამ წიგნს მალე მოჰყვა თამარაშვილის ახალი ნაშრომი “**პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას**” (ტფ., **1904**). სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ავტორმა საკადრისი პასუხი გასცა საქართველოს ისტორიის გამყალბებელ სომეხ მწერლებს – ცრუ ისტორიკოსებს: “ილია ჭავჭავაძის “ქვათა ღაღადის” შემდეგ ქართულ ენაზე ასეთი არაფერი დაბეჭდილა ქართველთ დამცირებისა და მოსპობის ჟინით ატეხილ მწერალთა ერთი წრის ასალაგმავად” (**თედო სახოკია**).

თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც აღიარებულია, რომ თამარაშვილის მეორე წიგნი ისეთივე ძალისა და მნიშვნელობის პუბლიცისტიკაა, როგორიც ილია ჭავჭავაძის “ქვათა ღაღადი”.

* * *

. . . ისევ დაუღალავი შრომა, ისევ უცხოეთის არქივები, ხელნაწერები... მიხეილი თითქოს წინასწარვე გრძნობდა ფიზიკური აღსასრულის მოახლოებას. ალბათ, ამიტომაც განსაკუთრე-

ბით ჩქარობდა, რაც შეიძლება მეტი მასალა შეეგროვებინა, რათა, პირველ რიგში, ცალკე წიგნის სახით საზოგადოებისათვის დროულად გაეცნო ქართველთა რელიგიური ცხოვრების განვლილი გზა წარმართობიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, შემდეგ კი დაეწერა საქართველოს ისტორია (რომლის ძირითადი მონახაზი უკვე გაკეთებულიც ჰქონდა). "გულმხურვალე პატრიოტს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის დასაწერად დიდძალი მასალა შეუგროვებია, რომლის დამუშავება და გამოქვეყნება ბედმუხთალმა კაცმა ვეღარ შეძლო. მიხ. თამარაშვილს თავისი ნაშრომების IV ტომში განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა სრული სურათი საქართველოს მღელვარე ისტორიისა XVI საუკუნიდან მოკიდებული XVIII საუკუნის დასასრულამდე" (**ბ. გიორგაძე**).

მართლაც, შესაშური ენერგიისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, 1908 წლისათვის თამარაშვილს სასტამბოდ უკვე გამზადებული ჰქონდა 720 გვერდიანი წიგნი "**ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე**", რომელიც 1910 წელს დაიბეჭდა **რომში ფრანგულ ენაზე**. წიგნი სცილდება ქართველი ერის რელიგიური ცხოვრების ჩარჩოებს, იგი ჩვენი ქვეყნის მთლიანი ისტორიაა უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე. ავტორის მიერ კეთილსინდისიერად, მიუდგომლად მოხმობილ დოკუმენტებში მკითხველი უთუოდ იპოვის საინტერესო ცნობებს ქართველთა ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე: ქართული სამეფოები, მეფეები, ქვეყნის პოლიტიკური აღმავლობა და დაქვეითება, რჯული და ეკლესიების მშენებლობა, ხელოვნება, მხატვრობა, მწერლობა, სწავლა-განათლება, ხელოს-

ნობა, გამუდმებული ომები, ქვეყნის დაუძლურება, დანაწილება, ბოლოს რუსეთთან შეერთება... სხვაგვარად რომ ვთქვათ, წიგნი არა მხოლოდ ობიექტურად აცნობდა განათლებულ მსოფლიოს საქართველოს თავგადასავალს დასაბამიდან მეოცე საუკუნემდე, არამედ იგი ამხელდა ჩვენი ქვეყნის აშკარა თუ ფარული მტრების მზაკვრულ პოლიტიკასაც. ამ წიგნის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს თანდართული 104 პორტრეტი, ქართულ ძეგლთა რეპროდუქციები, ორი გეოგრაფიული რუკა და მრავალი გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

ევროპის სამეცნიერო წრეები დიდი მოწონებით შეხვდნენ თამარაშვილის ამ ახალი წიგნის გამოცემას, **დაიბეჭდა 50-ზე მეტი რეცენზია-გამოხმაურება** სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში **ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე.** წიგნს უმაღლესი შეფასება მისცეს რომის პაპმა და კარდინალებმა, **მიანიჭეს ვატიკანის სპეციალური პრემია**...

უსაზღვრო იყო ქართველი ინტელიგენციის სიხარული და კმაყოფილება – ყველა ერთხმად აღიარებდა მიხ. თამარაშვილის ფასდაუდებელი ნაღვაწის მნიშვნელობას ერის ისტორიისათვის; ზეპირი თუ წერილობითი სახით გულწრფელ მადლობას უხდიდნენ წიგნის ავტორს: “წაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშენობით, საგულისხმო მასალა-ფაქტებით და კარგის ფრანგული ენით. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ეგ თქვენი კაპიტალური ნაშრომი ძვირფასი განძია. ჩვენსა და ევროპის ლიტერატურაში ამ საგანზე ჯერ მაგის მსგავსი არაფერი დაწერილა. წიგნის ავტორს

ეტყობა დიდი ერუდიცია, შრომის დიდი უნარი. ბ-ნო მიხეილ, ჭეშმარიტად ვაშა თქვენს მხნეობას, მეცადინეობას და სამშობლოს სიყვარულს! მე აღტაცებაში მოვყავარ თქვენს ასეთ არა თანამედროვე ქართველობას, არამედ ნამდვილ ევროპულ უნარსა და ენერგიას. გისურვებთ გულით დღეგრძელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ბედშავი ქვეყნის საკეთილდღეოდ. თუ თანამედროვე ქართველი საზოგადოება ვერ შეიგნებს თქვენს ასეთ ღვაწლს, მომავალი თაობა მაინც ღირსეულად დააფასებს მას და უკვდავჰყოფს თქვენს შარავანდედით მოსილ სახელს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული" (**სიმონ ქვარიანი**); "ამ წიგნის გამოცემით მიხ. თამარაშვილმა ევროპაში ქართველებს დიდი ძეგლი დაუდგა" (**ზ. ჭიჭინაძე**).

ამ წიგნის მნიშვნელობაზე შეიძლება მართლაც დაუსრულებლად იფიქრო და ისაუბრო. იგი უნდა წაიკითხოს ყველა ქართველმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ!

"ქართული ეკლესიის ისტორია" ყურადღებას იქცევს თავისი უცნაური თავგადასავლითაც – მან თითქმის მთლიანად გაიზიარა პატრონის ბედი: ჯერ იყო და 1908 წელს უკვე დასაბეჭდად გამზადებული წიგნი ავტორის უსახსრობის გამო დროულად ვერ მოხვდა სტამბაში. ცოტა ხნის შემდეგ ამ საჭიროებისათვის კეთილი ადამიანების შემწეობით მაინც გამოიძებნა თანხის მხოლოდ ნაწილი და 1910 წელს რომში კიდეც დაიბეჭდა წიგნი ფრანგულ ენაზე, თუმცა იგი რამდენიმე ხანს ისევ ფინანსების გამო ყადაღადადებული ვერ ახერხებდა სტამბიდან "თავის დაღწევას". როგორც იქნა, 1911 წლის

გაზაფხულზე, ღვთის წყალობით, წიგნი გათავისუფლდა "ტყვეობიდან" – მიიღო გავრცელების ნებართვა, იხილა მზის სინათლე და... უმალ აალაპარაკა მთელი ევროპა (რამდენიმე ცალმა სამშობლოშიც ჩამოაღწია).

მაგრამ. . . სულ მ ა ლ ე დ ა ო ბ ლ დ ა, ისე მალე, რომ ვერც კი მოასწრო სრულად განეცადა ზეობის პერიოდი და პატრონის სიცოცხლეშივე ამეტყველებულიყო მშობლიურ ენაზე. . .

გადიოდა წლები. თითო-ოროლა სპეციალისტის გარდა ეს უნიკალური ფრანგულენოვანი წიგნი ქართველი მკითხველისათვის თითქმის უცნობი და მიუწვდომელი იყო. იდგა ჩრდილში და კვლავაც ელოდა ახალ კეთილისმყოფლებს, ელოდა ახალ სიცოცხლეს სამშობლოში. და აი, თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენების შემდეგ განათლებულ ინტელიგენციაში დაიბადა (გაჩნდა) სურვილი წიგნის ქართულად თარგმანისა. ამ იდეის ერთ-ერთი ინიციატორი ისევ ბატონი რ ე ზ ო თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი გახლდათ. მართლაც, ხანგრძლივი შრომატევადი მუშაობის შედეგად მთარგმნელ-გამომცემელთა ერთ-ერთმა შემოქმედებითმა ჯგუფმა **1995** წელს საზოგადოებას წარუდგინა გამომცემლობა "კანდელის" გრიფით დასტამბული "**ქართული ეკლესიის ისტორიის**" **ქართული ვერსია**. აღსრულდა ავტორის სანუკვარი ოცნება, აღსრულდა საშვილიშვილო საქმე!

დიდია განგების ძალა! განა ერთნაირი არაა წიგნისა და ავტორის ბედი: თავდაპირველი სიძნელეები (მეტწილად ყოფითი), მერე ორივეს საქვეყნოდ აღიარება, შემდეგ — სამშობლოში ათეული წლების მანძილზე თითქმის მივიწყება,

ბოლოს — კვლავ ახალი სიცოცხლე და ახალი აღიარება.

დიახ, ასე უცნაურად წარიმართა ამ უნიკალური წიგნის ბედი, მაგრამ, საბედნიეროდ დღეს იგი (და მისი ავტორი) ჩვენი ქვეყნის ისტორიოგრაფიის განუყოფელ ნაწილადაა ქცეული.

* * *

. . . ფიქრით თანამედროვეობაშიც გადმოინაცვლებ და ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ ისტორია მეორდება, თუმცა სხვა ფორმით, სხვა თვისობრიობით: თუ წინა საუკუნეებში გარეშე მტერთა აშკარა აგრესია აფერხებდა ქვეყნის წინსვლას, რასაც, თავის მხრივ, გარკვეულწილად ემატებოდა ქვეყნის შინააშლილობა, დღესაც – კოსმოსისა და კომპიუტერ-ინტერნეტის ეპოქაში – არცთუ იშვიათად, უცხოურის წაბაძვით, ქართველთა ცნობიერებაში ხდება საკუთარი — ეროვნული ზნე-ჩვეულებების გადაფასება, ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი სულიერი მემკვიდრეობის მივიწყება, ერის მოჭირნახულე შვილთა კეთილი საქმეებისა თუ ღვაწლის ერთგვარი მიჩქმალვა... სამაგიეროდ, ერთმანეთს დაპირისპირებული საზოგადოების ნაწილს, “ჭეშმარიტი ქართველის” სახელით რომ გამოდის, მხოლოდ საკუთარი თავი ახსოვს; ჯერ კიდევ მძლავრობს ჩვენი ყოფიერების თითქმის ყველა სფეროში საერთო საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება, უპასუხისმგებლობა... თუმცა, საბედნიეროდ, ასეთ პირობებშიც კი თანამედროვე საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის ცხოვრება-საქმიანობა, წარსულის საუკეთესო ტრადიციები...

მაინც იმედით გვავსებს და უკეთესი მომავლის რწმენას გვიძლიერებს.

• • •

უცნაური და უსაზღვროა ფიქრი. შენდაუნებურად მაინც შეგახსენებს თავს და თავადვე გკარნახობს ახალ-ახალ ეპიზოდებს, ფაქტებსა თუ მოვლენებს. ამჯერად მეც ამ მდგომარეობაში ჩამაყენა – უმალ მომაგონა თამარაშვილის ახლობელთა წრე: სულიერი ჭირისუფალნი, სიხარულისა თუ მწუხარების თანამოზიარენი, ერთგული ქომაგნი, მისი საქმიანობის პირუთვნელი შემფასებელნი და ნაღვაწის გულწრფელი დამფასებელნი... ამ კეთილისმყოფელთა სათავეში დამსახურებულად დგანან **ივანე გვარამაძე** და **პეტრე ხარისჭირაშვილი** – სახელგანთქმული მოძღვრები და სასიქადულო ერისკაცები. სწორედ ამ სულიერი მამების გვერდით ჩამოყალიბდა თამარაშვილი როგორც პიროვნება და როგორც მეცნიერ-მკვლევარი. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდია ივ. გვარამაძის ღვაწლი. მიხეილისათვის ის მხოლოდ მისაბაძი მღვდელი და მასწავლებელი როდი გახლდათ, "ვინმე მესხი" უცხოეთში გადახვეწილი კაცის სულიერი შთაგონებაც იყო. მოძღვრის შეგონება-დარიგებანი სიცოცხლის ბოლომდე ასაზრდოებდა და ამხნევებდა მადლიერ შეგირდს. თუ უფრო დაწვრილებით გაეცნობით ივ. გვარამაძისა და მიხ. თამარაშვილის ურთიერთობას, რომელიც ჭეშმარიტად არის ორი საუკეთესო ადამიანის, ამაგდარი ერისკაცების სულიერი კავშირის ლამაზი და სანიმუშო ისტორია, თავადაც ირწმუნებთ, რომ უფალმა ივ. გვარამაძე იმითაც გამოარჩია, რომ მისმა კეთილმა თესლმა მშობლიუ-

რი ქვეყნის სასარგებლოდ უხვი ნაყოფი გამოიღო თამარაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის სახით.

• • •

თამარაშვილის ახლობელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ აგრეთვე ქართველ კათოლიკე **ზუბალაშვილებს**. ცნობილია, რომ 1800-1920-იან წლებში ზუბალაშვილების ერთი შტოს წარმომადგენლები – ივანე გიორგის ძე ზუბალაშვილის შთამომავლები — იყვნენ არა მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებული მსხვილი ვაჭარ-მრეწველები, საქართველოში პირველი სამრეწველო საქმიანობის დამწყებნი; პატიოსანი, შრომისმოყვარე — ევროპული სტილის კომერსანტები, არამედ ღირსეული ერისკაცები, უსაზღვრო ქველმოქმედნი და სამაგალითო მეცენატები (უფრო ვრცლად იხილეთ ჩვენს წიგნში "ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან," თბ., 2011).

სასიქადულო მამულიშვილები ერთგულად იღვწოდნენ მშობლიური ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის, გვერდით ედგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს, ზრუნავდნენ ხალხის კეთილდღეობაზე; მტკივნეულად განიცდიდნენ იმასაც, რომ უცხოელ დამპყრობთა წაქეზებით გათამამებული "ვაი მეცნიერები" აშკარად აყალბებდნენ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას და არასწორ ცნობებს ავრცელებდნენ ქართველთა რელიგიური ცხოვრების შესახებაც. განათლებულ ზუბალაშვილებს საშურ საქმედ მიაჩნდათ, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით აღდგენილიყო ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ისტორია, რითაც

საკადრისი პასუხი გაეცემოდა ცრუ მეცნიერებს. სწორედ ამიტომაც შეხვდნენ ისინი დიდი სიხარულით მიხ. თამარაშვილის გადაწყვეტილებას – ევროპაში მიეღო უმაღლესი განათლება, იქვე გულმოდგინედ დაეძებნა, შეესწავლა და თანამემამულეთათვის ხელმისაწვდომი გაეხადა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული აქამდე უცნობი, მეტად ფასეული მასალები.

კონსტანტინე ზუბალაშვილის ოჯახმა იმთავითვე სიამოვნებით იკისრა მიხეილის ფინანსური უზრუნველყოფა საზღვარგარეთ ცხოვრება-საქმიანობისათვის. პირველ რიგში, დაუნიშნეს გარკვეული რაოდენობის თანხა ყოველწლიური სუბსიდიის სახით (რასაც ღებულობდა სიცოცხლის ბოლომდე). გარდა ამისა, ისინი ხშირად ეხმარებოდნენ სხვა აუცილებელი საჭიროების შემთხვევაშიც. ამ მხრივ მაინც განსაკუთრებულია სტეფანე ზუბალაშვილის ამაგი (სტეფანეს "შესაწირავით" დაიბეჭდა წიგნები: "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" (1902), "პასუხად სომხის მწერლებს" (1904).

შენიშვნა: *დასანანია, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურასა თუ პრესაში აქა-იქ გაიჟღერა ინფორმაციამ, თითქოს სტეფანე ზუბალაშვილის გარდაცვალების შემდეგ მიხ. თამარაშვილის დახმარებაზე "დანარჩენმა ზუბალაშვილებმა თავი შეიკავეს"; საბუთად ძირითადად იშველიებენ წერილს, რომელიც 1907 წელს მიხ. თამარაშვილმა გაუგზავნა იმხანად პარიზში მყოფ აკაკი წერეთელს. წერილში მიხეილი სთხოვს აკაკის, ვისი საშუალებითაც კი შეიძლებოდა მიეწვდინა ხმა ძმები ზუბალაშვილებისათვის, რომ მათი ოჯახისაგან დანიშნული ყოველწლიური სტიპენდია (სუბსიდია) არ შემიწყვიტონო.*

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ 1905-1907 წლებში რუსეთსა და ამიერკავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო ძმები პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები გაიხიზნენ ევროპაში და ერთხანს ფიზიკურად ვეღარ ახერხებდნენ თამარაშვილისათვის სუბსიდიის გაგზავნას. მაგრამ მათ ცოტა ხნის შემდეგ, 1909 წლიდან, განუახლეს მიხეილს წელიწადნახევრის განმავლობაში შეწყვეტილი დახმარება (რამაც გამოტოვებულ თანხასთან ერთად შეადგინა 2 ათასი ფრანკი) და გადაუგზავნეს რომში. სწორედ ამ თანხამ გააბედვინა თამარაშვილს, დაეწყო "ქართული ეკლესიის ისტორიის" ბეჭდვა. აქვე საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნის სტამბიდან გამოსახსნელად ძმებმა ზუბალაშვილებმა დამატებით კვლავ გაიღეს თანხის ნაწილი.

მიხ. თამარაშვილს მთელი ცხოვრების მანძილზე ამხნევებდა ზუბალაშვილების ყურადღება, ამიტომაც მადლიერებით აცხადებდა: "ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია გაუწყოთ, რომ საქართველოში ყოველი კეთილი საქმის წამოწყებას მხარს უჭერდნენ ზუბალაშვილები... ძმები ზუბალაშვილები უმაგალითო დიდსულოვნებით აღვსილნი მხსნელებად ევლინებიან ყოველ ღვთისმოსავ საქმეს, რათა ნუგეში სცენ თავიანთი ქვეყნის ბედკრულთ".

თამარაშვილისა და ზუბალაშვილების ურთიერთობა იყო გულწრფელი, ახლობლური, საქმიანი, ისეთი, ჭეშმარიტ ქრისტიანებს რომ შეეფერებოდათ. ორივე მხარე უანგაროდ ემსახურებოდა ერთ საერთო კერპს – სამშობლოს.

• • •

თანამედროვეთაგან მიხეილ თამარაშვილს სანიმუშო მეგობრობა გაუწია ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ **ზაქარია ჭიჭინაძემ**. იგი გახლდათ თამარაშვილის ნიჭისა და

შრომა-საქმიანობის პირუთვნელი შემფასებელი, ქომაგი და მეოხი; ხარობდა მისი წარმატებით და წუხდა მისეული სატკივარითაც. მიხეილი მისთვის იყო არა მხოლოდ თვალსაჩინო მეცნიერი, არამედ კაცთმოყვარეობით შემკული პიროვნებაც. ზაქარიასა და მიხეილის ახლო მეგობრობა, რომელიც ამოიზარდა მშობლიური ქვეყნის, ქართული კულტურის, მეცნიერების მსახურების საერთო მიზნიდან, ბოლომდე დარჩა ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით გაჯერებული.

ზაქარია ჭიჭინაძე ხშირად ეხმიანებოდა ევროპის დიდი ქვეყნების წიგნთსაცავებში მომუშავე თანამემამულეს, ამხნევებდა და მადლობას უხდიდა მისი შემართება-შეუპოვრობისთვის, ქართველთათვის გაწეული ესოდენ ნაყოფიერი შრომისათვის. საჭიროების შემთხვევაში საგულისხმო ინფორმაციებსაც აწვდიდა ქართული სინამდვილიდან (თავის მხრივ, მისგან ღებულობდა უცხოურ წყაროებში გაბნეულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობებს...); ეხმარებოდა ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევაში, თავდაუზოგავად ზრუნავდა მისი წიგნების გამოცემაზე და ა.შ. გარდა ამისა, ზაქარია განსაკუთრებით ცდილობდა, ჩვენშიც დროულად გამხდარიყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის თამარაშვილის მეცნიერული კვლევის შედეგები. ამიტომაც იყო, რომ ქართულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა ცალკეულ სტატიებს თამარაშვილის მიერ ევროპაში მოძიებული ახალ-ახალი მასალების შესახებ, მკითხველს აცნობდა ამ უცხოური წყაროების მნიშვნელობას ქართული ისტორიოგრაფიისათვის; 1912 წელს კი პირველმა უძღვნა სპეციალური მო-

ნოგრაფია უდროოდ გარდაცვლილი მეგობრის ხსოვნას. წიგნში **“სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი”** ავტორი უდიდესი მადლიერების გრძნობით საუბრობს მიხეილ თამარაშვილის ცხოვრების შესახებ, მისი შესანიშნავი წიგნების მნიშვნელობაზე და იმ სულიერ ტკივილზე, რაც გამოიწვია სასიქადულო მამულიშვილის დაღუპვამ.

ზაქარია ჭიჭინაძე, როგორც თავისი ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო რეალური სურათის კარგად მცნობი, თვლიდა, რომ თამარშვილის შემოქმედებითი ნაღვაწის საფუძვლიან შეცნობასა და მისი ფასდაუდებელი მნიშვნელობის გააზრებას სჭირდებოდა თაობები და დრო: “მ. თამარაშვილის დაფასება დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან, ამის გადახდა მომავალში შეეძლება მხოლოდ ქართველ განათლებულ საზოგადოებას, რომელიც შეიგნებს თამარაშვილის საქართველოს ისტორიისათვის დაუფასებელ შრომის მნიშვნელობას. საჭიროა, ჭეშმარიტად საჭიროა, რომ ასეთი ისტორიული წიგნები ჩვენს ენაზედ ხშირად იბეჭდებოდეს.”

• • •

მიხ. თამარაშვილის თანამედროვე კეთილისმყოფელთა შორის მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ **კორნოლატო კურციო** — ვინმე უცხოელი, რომლის ვინაობა ქართველთათვის ჯერ კიდევ უცნობია (ვერ მოხერხდა მისი შთამომავლების მოძიებაც).

იტალიური საარქივო მასალებით მხოლოდ ის გაირკვა, რომ 1911 წელს ჩივიტავეკიაში დაკრძალული თამარაშვილის საფლავის ადგილში

აუცილებელი საფასური, საკმაოდ სოლიდური თანხა, 70 წლის ვადით გადაუხდია კორნოლატო კურციოს. აქვე შევნიშნავთ, რომ, სახელმწიფო კანონმდებლობიდან გამომდინარე, კურციოს წყალობით თამარაშვილის ნეშტი დაცული იქნებოდა მხოლოდ 1981 წლამდე. ამის შემდეგ, თუკი ჩვენი თანამემამულის საფლავს ახალი მეპატრონე არ გამოუჩნდებოდა და არ გადაიხდიდა შესაბამის თანხას, საფლავის ადგილი ოფიციალურად გასხვისდებოდა და მასში განსვენებული ნეშტიც დაიკარგებოდა.

მართალია, არ ვიცით, ვინ იყო კურციო, იცნობდა თუ არა მიხ. თამარაშვილს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით დასაფასებელია ამ უცხოელის ამაგი, ვალი და მისაბაძი კეთილშობილება. სწორედ მან შეიცნო და გულწრფელად შეაფასა მიხეილ თამარაშვილის თავგანწირვა, მისი ადამიანური ღირსება და მაღალი სულიერება... სწორედ ის აღმოჩნდა იმხანად ქართველთაგან "დაუტირებელი" ამაგდარი შვილის ახლო ჭირისუფალი, რომელმაც შვიდი ათეული წლის განმავლობაში შეუნარჩუნა სიცოცხლე უცხო ქვეყანაში შთენილ ნეშტს, რათა ისევ კეთილი ადამიანების წყალობით (საბოლოო დაკარგვამდე ორი წლით ადრე) სამუდამოდ დაჰბრუნებოდა მშობლიურ მიწას.

• • •

ახლაც ნელ-ნელა იმარცვლება ფიქრთა კრიალოსანი, გონებაში კვლავაც ცოცხლდება და ერთმანეთს ცვლის თამარაშვილის მრავალრიცხოვანი ნაცნობ-მეგობარი. ისინიც ელოდებიან საინტერესო ეპიზოდების გახმოვანებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად ცალ-ცალკე ვე-

ღარ შევჩერდებით ყველა მათგანზე, მხოლოდ ზოგადი გახსენებით დავკმაყოფილდებით.

მიხ. თამარშვილი, ვითარცა საქვეყნო საქმის უანგარო მსახური, რომელმაც "სამშობლოს შესწირა არა თუ შრომა, არამედ ზნეობრივი და ქონებრივი ძალღონეც" (**ალ. ხახანაშვილი**), თავისი საქმიანობით, ცხოვრებისეული მრწამსითა და ინტერესებით ბუნებრივად იყო დაკავშირებული პროგრესულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციასთან; მათ შორის იყვნენ მეცნიერები, მხატვრული სიტყვის შემოქმედნი, სხვა საზოგადო მოღვაწენი, აგრეთვე მისი ნაღვაწის ჭეშმარიტი ქომაგნი—დამფასებელნი: **დიმიტრი ბაქრაძე** (პირველმა დაულოცა შემოქმედებითი გზა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ახალგაზრდას), **ალექსანდრე ხახანაშვილი** (პირველმა წარუდგინა სპეციალური წერილით ქართველ საზოგადოებას მიხეილ თამარაშვილი, როგორც ნიჭიერი მკვლევარი და მეცნიერი, მოუპოვა პირველი საჯარო აღიარება), **თედო სახოკია, ალექსანდრე ცაგარელი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე მირიანაშვილი, სიმონ ქვარიანი, ანტონ ფურცელაძე, ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი, ნიკოლოზ ღოღობერიძე, ალექსანდრე ყიფშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, იაკობ ნიკოლაძე** და მრავალი სხვა.

მიხეილ თამარაშვილი გახლდათ უცხოეთში ქართველთა კეთილი მასპინძელი: ზოგს საისტორიო წყაროების მოძიება-დაზუსტებაში ეხმარებოდა, ზოგსაც — ყოფითი პრობლემების მოგვარებაში: "რომში მისი ბინა ქართველთა ნამდვილ შესაკრებსა და სათათბირო სალონს წარმოადგენდა... ვისაც მნიშვნელოვანი რამ

დასჭირდებოდა ევროპაში, რჩევასა და დახმარებას პირველ რიგში თამარაშვილს სთხოვდა და იგიც დიდის გულმოდგინებით ასრულებდა ყოველგვარ დავალებას” (**შ. ლომსაძე**); განსაკუთრებით მზრუნველობდა ევროპაში სასწავლებლად წასულ ქართველ ახალგაზრდობას (ბევრს ფინანსურადაც შეეწეოდა ხოლმე), თითეულ მათგანს მალიმალ შეახსენებდა თავიანთ მამულიშვილურ ვალს, შრომის სიყვარულს და თან განუმარტავდა: “ვალდებულება მუდამ სიამოვნებაზე მაღლა უნდა იყოს დაყენებული... ღვთის ძალით ჩვენი ერთადერთი ბატონი და მბრძანებელი მხოლოდ საქართველო უნდა იყოს, და კაციც იმას ქვია, ვინც საქართველოს ნებასურვილზე ივლის და არა თავის ნებასურვილზედა”.

* * *

ასეთი გახლავთ ჩვენეული თვალით დანახული მიხ. თამარაშვილი — სულიერად ამაღლებული და ბუნებითი თვისებებით ღვთისმოსავი, სანიმუშო კათოლიკე მოძღვარი, სამშობლოსა და მეცნიერების მსახურებას თავშეწირული; კეთილშობილი, თავმდაბალი პიროვნება; გულისხმიერი მეგობარი. იოლი როდი იყო მისი ცხოვრების გზა: მუდმივი ეკონომიური ხელმოკლეობა (მაგრამ საოცრად გულუხვი საქვეყნო საქმისათვის), ზოგჯერ დაუმსახურებელი გულისტკენა ახლობელთაგან; ყოველდღიური ყოფითი პრობლემების გამო საკვლევაძიებო მუშაობაში ხელისშეშლაც და მისთ., მაგრამ ღვთისაგან მომადლებულმა მტკიცე ნებისყოფამ, მიზნისაკენ დაუოკებელმა სწრაფვამ შეაძლებინა XIX საუკუნეში ქართველთაგან პირველს მოეხილა ევ-

როპის დიდი ქალაქების წიგნსაცავები და ახალი საინტერესო ფურცლები ჩაეწერა ქართულ მატიანეში, უცხოეთის დიდი ქვეყნების ისტორიოგრაფიისთვის მიეწოდებინა უცნობი მასალები ქართველთა მრავალსაუკუნოვანი არსებობის ისტორიიდან ...

როგორც წესი, ხშირად ხდება, რომ პიროვნებას სიცოცხლეში ზოგჯერ ვერ თუ არ ხედავენ მთლიანობაში. ალბათ, სხვა მიზეზთა გარდა, დრო-ჟამსაც უცდიან მავანის ღვაწლისა თუ, საერთოდ, საქმიანობის შესაფასებლად, გარდაცვალების შემდეგ კი თითქოს ახლად აღმოაჩენენ მას ...

საბედნიეროდ, თამარაშვილი ქართველმა განათლებულმა საზოგადოებამ სიცოცხლეშივე აღიარა გამოჩენილ მეცნიერმკვლევრად, ქართული პრესა 1890- იანი წლებიდან მოყოლებული 1920–იან წლებამდე სისტემატურად აქვეყნებდა როგორც მიხეილის ნაშრომებს, ისე მათთან დაკავშირებულ სხვათა პუბლიკაციებს. მაშინ არავინ უყურებდა სხვა თვალით, რომ იგი იყო სასულიერო პირი, ისიც კათოლიკე. პირიქით, იმ პერიოდის მოწინავე ინტელიგენცია დიდად აფასებდა ქართველ კათოლიკეთა — ჭეშმარიტი ერისკაცების ღვაწლს მშობელი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, არასოდეს შეუტანიათ ეჭვი მათს მამულიშვილობაში, ქართველობაში; არავინ აიგივებდა აღმსარებლობასა და ეროვნულობას...

მაგრამ დადგა ახალი პერიოდი საქართველოს ისტორიაში. საბჭოთა ხელისუფლებამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაამკვიდრა თავისი წესები და კანონები; რაც მთავარია, ყველაფერი ძველი დავიწყებას უნდა

მისცემოდა და ჩათვლილიყო დრომოჭმულად "ახლის" ფონზე ...

პირველ რიგში დაიწყო ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, სასტიკად უსწორდებოდნენ სასულიერო პირებს, მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი მართლმადიდებელი მღვდელი იყო, თუ კათოლიკე. ამ პროცესს მალე მოჰყვა 1937 წელი და, ვინ იცის, რამდენი დიდებული ქართველი — ცნობილი მეცნიერი თუ სხვა სფეროს მუშაკი — შეეწირა ამ წლებს... ამ დროს განსაკუთრებით საშიშ პიროვნებებად და ქვეყნის მოღალატეებად ითვლებოდნენ უცხოეთში განათლებამიღებული თუ იქ მოღვაწე ქართველები, რომლებსაც აეკრძალათ სამშობლოში დაბრუნება (ამის გამო ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ემიგრანტებად იქცა და მიმოიფანტა საზღვარგარეთის ქვეყნებში).

საბჭოური ცენზურა წინანდელზე უფრო მკაცრი გამოდგა, მოქმედებდა წინასწარ დაკანონებული ჩარჩოებით. ასე იყო მეცნიერებაშიც. ალბათ, არსებული ვითარების გათვალისწინებით მავანი და მავანი თავსაც აარიდებდა ჩვენი ჭეშმარიტი ისტორიის ზოგიერთი ფურცლის გახსენებას, მით უმეტეს, ველარ გაბედავდა სასულიერო პირის ნაშრომების აშკარად წინ წამოწევას...

ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ XX საუკუნის 70-იან წლებამდე (საბჭოთა ეპოქაში) მიხეილ თამარაშვილის სახელი საზოგადოების ფართო წრისათვის, მით უფრო ახალგაზრდობისათვის ნაკლებად იყო ცნობილი. ამ გარემოებას უთუოდ ისიც შეუწყობდა ხელს, რომ მიხეილ თამარაშვილის პირველი და მეორე წიგნი (დაბეჭდილი XX საუკუნის დასაწყისში) ბიბლი-

ოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა, მესამე კი ქართულად არც იყო თარგმნილი.

მიუხედავად ასეთი მკაცრი პოლიტიკისა, განათლებული საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელსაც კარგად მოეხსენებოდა მიხეილ თამარაშვილისა და მისი მსგავსი ერისკაცების უდიდესი დამსახურება მშობელი ქვეყნის წინაშე, მათი ნაშრომების მნიშვნელობა-ღირებულება, ფრთხილად მაინც ეხებოდა ისტორიის ფურცლებს და ცდილობდა მათს გამომზეურებას. თუმცა, შეიძლება ითქვას, ასეთი იშვიათი მცდელობა მხოლოდ "ზღვაში წვეთი" თუ იქნებოდა მიხ. თამარაშვილის პიროვნებისა და მისი ღვაწლის ჯეროვანი დაფასება-აღიარებისათვის.

• • •

ასეთ ვითარებაში გადიოდა დრო, წლები ერთმანეთს ცვლიდა, მაგრამ თურმე უფალი არც მაშინ ივიწყებდა თავის რჩეულს და კიდეც მიუძღვნა უხვი საჩუქარი – უცხოეთში მიუსაფრად შთენილს მოუვლინა ახალი ჭირისუფალი, მზრუნველი პატრონი **რეზო თაბუკაშვილის** სახით. ამიერიდან ამ ორი ჭეშმარიტი ქართველის სახელები ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ მიხ. თამარაშვილზე ფიქრისას შეუძლებელია უმალ არ მოგაგონდეს რეზო თაბუკაშვილი, რომლის ცხოვრება და უანგარო მსახურება ქართული კულტურის ისტორიაში მუდამ დარჩება საინტერესო და სანიმუშო ფურცლებად. . .

მართლაც ფასდაუდებელია რ. თაბუკაშვილის ღვაწლი მიხ. თამარაშვილის ნეშტის იტალიიდან სამშობლოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით. შეუძლებელია აუღელვებლად წაი-

კითხო და მშრალად აღიქვა ამ მოვლენის ამსახველი უამრავი მასალა. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბატონი რეზოს დოკუმენტური ფილმი "**კვალი ნათელი**", რომელიც უშუალო გულწრფელობით წარმოაჩენს ამ ორი დიდი პიროვნების მართლაც ნათელ კვალს და ასეთად აღიბეჭდება თითოეული ჩვენგანის სულშიც.

მიხ. თამარაშვილის სამშობლოში დაბრუნება ბატონ რეზოს სანუკვარ ოცნებად ყოფილა ქცეული, მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ კეთილშობილური მისიის აღსრულებას დასჭირდა წარმოუდგენელი შრომა, ძალისხმევა, გამბედაობა და რისკი... საოცრად ხიფათიანი და უამრავი დაბრკოლებით აღსავსე იყო თითოეული მისი ნაბიჯი თამარაშვილისაკენ მიმავალ გზაზე კომუნისტური რეჟიმის ზეობის პერიოდში, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში.

და მაინც უკან არ იხევდა ბ-ნი რეზო; მოთმინებით, რუდუნებით მიიწევდა წინ და სწამდა, რომ მიზანს აუცილებლად მიაღწევდა. აკი თავადაც ხშირად ამბობდა თურმე, ღმერთი მეხმარება ამ საქმეშიო. სწორედ ამ შემართებამ, სიყვარულმა აქცია 1978 წლის შემოდგომა მეტად ბარაქიანი, უხვი, ნათელი სხივებითა და მადლიერებით "დახუნძლული" მიხ. თამარაშვილისათვის. . . განა ღვთისწყალობა არ იყო ისიც, რომ 1978 წლის სექტემბერში მიხ. თამარაშვილის საფლავის გახსნა ჩივიტავეკიაში დაემთხვა მისი დაბადების 120 წლისთავს.

რ. თაბუკაშვილის პიროვნული პორტრეტის ნათელსაყოფად გვინდა დავიმოწმოთ თამარაშვილთან დაკავშირებული ერთი საინტერესო მოგონებაც: "რეზო თაბუკაშვილმა იტალიაში საკმაო წინააღმდეგობათა დაძლევის

შემდეგ მაშინდელ კომუნისტურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად საიდუმლოდ ჩამოასვენა სამშობლოში დიდი ქართველის ნეშტი, ასევე საიდუმლოდ რამდენიმე კვირა ინახავდა ნეშტს ხელოვნების მუზეუმში, რათა დაეცვა ავისმქმნელებისგან. რადგან არავინ წყვეტდა მიხეილ თამარაშვილის დაკრძალვის საკითხს, ბ-ნი რეზო იძულებული გახდა, საზოგადოებისათვის ტელევიზიით ემცნო ნეშტის ჩამოსვენების ამბავი. სწორედ ბედის დაცინვაა. სამშობლოს შეწირულს სამშობლოში დაკრძალვის ნებასაც არ აძლევდნენ!

ბატონ რეზოს მ. თამარაშვილის ნეშტის ჩამოსვენებასთან დაკავშირებით თბილისის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო. როცა იგი სცენაზე გამოჩნდა, მე ფეხზე წამოვდექი, ხალხიც ამყვა და მქუხარე ტაში დასცხო. ნეტავ ვის წამოუდგნენ ფეხზე, ან ვის უკრავდნენ ტაშს? ბატონ მიხეილს, თუ ბატონ რეზოს? უთუოდ ორივეს ერთად!

მიხ. თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენება სამშობლოში ერთ-ერთი ნათელი ეპიზოდია რევაზ თაბუკაშვილის ცხოვრებისა" („**გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდების საკითხავნი ყმაწვილთათვის**", 16, თბ., 2008, გვ. 132-133).

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ნათელი ეპიზოდები სხვაც ბევრია რ. თაბუკაშვილის მოღვაწეობაში (საქმიანობაში). ამიტომაც იგი, როგორც მშობელი ქვეყნის დიდი (გულწრფელი) ჭირისუფალი, მზრუნველი პატრონი, უანგარო ქომაგი, ქვეყნის მოვლა-პატრონობის დიდი ტრადიციის გამგრძელებელი სამართლიანადაა აღიარებული ილია ჭავჭავაძის, მიხეილ თამარაშვილის, ივ. ჯა-

ვახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის... ღირსეულ მემკვიდრედ (**ჯ. ღვინჯილია**). ისიც სიმბოლურია, რომ ეს ორი ამაგდარი შვილი ერთმანეთის გვერდით განისვენებს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

• • •

1978 წლიდან ისტორიოგრაფიაში ნამდვილი შემობრუნება დაიწყო თამარაშვილთან მიმართებით. იმ პერიოდის პრესა ჩვენში შედარებით თავისუფლად ლაპარაკობდა მ. თამარაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობისა და ღვაწლის შესახებ. ნეშტის დაკრძალვის დღეს ფართო საზოგადოებას ზოგადად აცნობდნენ თამარაშვილს — ჩვენი წარსულის ერთგულ მეისტორიეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სახელოვანი თანამემამულის გახსენების პირველი ცდა საბჭოთა სინამდვილეში... და მაინც, თამარაშვილის პირადი წერილები, ისტორიული დოკუმენტები, გასული საუკუნის პერიოდული პრესა თუ სხვა სახის საარქივო მასალები მოუთმენლად ელოდნენ ახალ გულშემატკივარს, პირუთვნელ მემატიანეს, რომელიც XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს გააცნობდა თამარაშვილის ცხოვრება-საქმიანობის უფრო სრულყოფილ ისტორიას...

საბედნიეროდ, ეს კეთილი მისია იკისრა ცნობილმა ისტორიკოსმა **შოთა ლომსაძემ** და საბოლოოდ 1984 წელს სახელოვანი თანამემამულე ქართველ მკითხველს უფრო ახლოს გააცნო შესანიშნავი მონოგრაფიით **“მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი”**. ეს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც დაწერილია მრავლფეროვან დოკუმენტურ წყაროებზე დაყ-

რდნობითა და XIX საუკუნისდროინდელი სამ-ხრეთ-საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური ვითარების გათვალისწინებით, იძლევა უამრავ ინფორმაციას არა მხოლოდ თა-მარაშვილის, არამედ მაშინდელი ქართველი ინ-ტელიგენციის შესახებაც; იკითხება ინტერესით და სასიამოვნოდ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნმა ნამდვილად გააცოცხლა თამა-რაშვილი დღევანდელი მკითხველისათვის და კვლავაც მიუჩინა დამსახურებული ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში: "თამარაშვილის მემკვიდრეობა საბოლოოდ შევიდა ქართული ისტორიოგრაფიის ოქროს ფონდში. . . თამარაშ-ვილი იმ მცირერიცხოვან მკვლევართა შორის დგას, რომელთა შემოქმედებამ შეუნელებელი ბრძოლისა და გაუტეხელი ნებისყოფის ცეც-ხლში გამოიარა და მომავალ თაობებს დიდ მემ-კვიდრეობასთან ერთად სიმართლის თქმისა და მაღალი ზნეობის თვისებებიც უანდერძა. მისი ძალა უპირველეს ყოვლისა მის სიმართლესა და სულის სიწმინდეში მდგომარეობდა. ამ ძალამ მოიყვანა იგი ჩვენამდე შეურცხვენელი, პირნა-თელი და ხელხვავიანი" (**შ. ლომსაძე**).

... დასასრულ, თუკი მთლიანობაში გავიაზ-რებთ ზემოთქმულს და ერთხელ კიდევ გავაც-ნობიერებთ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწ-მყოს, ალბათ, ეჭვი აღარ შეგვეპარება იმაშიც, რომ თამარაშვილი და მისი მსგავსი მამულიშვი-ლები, რომელთაც საერთო ეროვნულ საქმეზე ზრუნვა უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ, უფლის რჩეულები იყვნენ, მოვლენილნი საგან-გებო დანიშნულებით, კეთილი მისიით.

• • •

ასე ნელ-ნელა ჩაიფურცლა გონებაში მიხ. თამარაშვილის ცხოვრების წიგნი. ფიქრით ერთხელ კიდევ გადავიკითხე მისი ნაშრომები და უსაზღვროდ მადლიერი ვემშვიდობები ამ სამაგალითო მკვლევარსა და გამორჩეულ პიროვნებას იმ იმედით, რომ დროდადრო კვლავაც შევეხმიანო გონებრივი საზრდოსა და სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად.

სექტემბერი, 2011 წ.

მხატვარი **გიორგი ლაშქარეიშვილი**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge